

სარჩევი:

აუდიტორული დასკვნა -----	2
--------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება -----	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	9
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება -----	10
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია -----	12
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება და მსჯელობა -----	13
3. ფული და ფულადი ექვივალენტები -----	26
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -----	26
5. მოთხოვნები ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა მიმართ -----	26
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები -----	26
7. გაცემული სესხები -----	27
8. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში -----	27
9. ძირითადი საშუალებები -----	29
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები -----	29
11. გადასახდელი ხელფასები -----	29
12. გადასახდელი სესხები -----	29
13. საბიუჯეტო ვალდებულებები -----	29
14. გადასახდელი დივიდენდები -----	29
15. გრძელვადიანი ვალდებულებები -----	30
16. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები -----	30
17. ამონაგები -----	30
18. საოპერაციო ხარჯები -----	30
19. არასაოპერაციო მოგება -----	31
20. არასაოპერაციო ზარალ -----	31
21. ფინანსური ინსტრუმენტები -----	31
22. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება -----	34
23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის -----	36
24. განუსაზღვრელი ვალდებულებები -----	36
25. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები -----	36

შპს „ზიმოს“ დამფუძნებლებს

აუდიტორული დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღებით დამთავრებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველის“ ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჩვენ არ მიგვიღია შვილობილი კომპანიის შპს „ყვარლის ედემის“ 2019 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება და ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა შპს „ყვარლის ედემის“ ფინანსური ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აუდიტის ჩატარებლობის მიზეზი, კომპანიის ხელმძღვანელობის განმარტებით, არის ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული მდგომარეობა. წარმოდგენილი არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებით შპს „ყვარლის ედემის“ აქტივები შეადგენს 18 920 877 ლარს, ვალდებულებები 1 004 181 ლარს და საკუთარი კაპიტალი 17 916 696 ლარს.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები კომპანიის დებიტორების ნაწილისგან და ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნულ დებიტორულ დავალიანებებზე. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაუდასტურებელმა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჯამურმა ღირებულებამ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 4 518 209 ლარი. ასევე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ შეუქმნია მოსალოდნელი ზარალის რეზერვი, როგორც ეს მოთხოვნილია ფასს 9-ის მიხედვით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხული ან აღურიცხავი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთებთან დაკავშირებით, ასევე მოსალოდნელ ზარალებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული

შემოსავლის ანგარიშების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშების ელემენტებში.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები კომპანიის კრედიტორების ნაწილისგან და ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნულ კრედიტორულ დავალიანებებზე. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაუდასტურებელმა სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ჯამურმა ღირებულებამ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა შესაბამისად 9 082 811 ლარი.

ჩვენს მიერ შედგენილი აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის ხელმძღვანელობას არ მოუწოდებია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შესახებ ინფორმაცია, ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ჩვენ შპს „ზიმოს“ აუდიტორებად დავინიშნეთ 2019 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, შესაბამისად ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას, რის გამოც ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2019 წლის ბოლოს და 2019 წლის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 21 963 020 და 21 369 502 ლარის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალური ფასეულობებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

აუდიტის ძირითად საკითხს წარმოადგენს მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველის აბზაცში აღწერილი საკითხები.

სხვა გარემოებათა აბზაცი

შპს „ზიმოს“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნული

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ 2019 წლის 20 სექტემბერი გამოთქვა პირობითი მოსაზრება.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ შპს „ზიმოსგან“ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA -ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილ მმართველობით ანგარიშგებას. მაგრამ არ შეიცავს კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას .

ჩვენს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშს და განვიხილოთ მმართველობითი ანგარიში არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენს შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ ვასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიში შეიცავს არსებით უზუსტობას იმავე მიზეზით, რაც უკავშირდება ზემოაღნიშნული პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში პირველ და მეორე პუნქტში აღწერილ თანხებსა თუ სხვა მუხლებს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშის გარკვეული ნაწილების შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობით ანგარიშში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობით ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაშია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ასევე პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, რომ ასე არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად იმ შემთხვევაში მიიჩნევა თუ მოსალოდნელია, რომ გონივრულ ფარგლებში, ისინი ცალკ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომელიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ აუდიტის პროცესში პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე

რეაგირებისთვის გამოიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე იმის რისკი, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა. რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარი განზრახვით არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასების დასაბუთებას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენასთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს. ასევე, ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებს სხვა საკითხებთან ერთად ინფორმაციას ვაწვდით, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

ხელმოწერილია

შპს „აუდიტორული კომპანია თამასა“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-663540)

თამაზ ბულავრიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-691189)

05.04.21წ

ხელმოწერილია

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე იმის რისკი, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა. რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარი განზრახვით არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასების დასაბუთებას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენასთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს. ასევე, ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებს სხვა საკითხებთან ერთად ინფორმაციას ვაწვდით, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

ხელმოწერილია

შპს „აუდიტორული კომპანია თამასა“ (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-663540)

თამაზ ბულავრიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-691189)

05.04.2021 წ

ხელმოწერილია



შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

შპს “ზიმო”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

31.12.2019წ დასრულებული წლისთვის

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 31.12.2019წ დასრულებული წლისთვის

აქტივები	შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	3,018,641	143,018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	8,078,889	6,758,914
მოთხოვნები ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთ მიმართ	5	19,018	17,751
მოთხოვნებისაწარმოსპერსონალისმიმართ მარაგები		18,379	-
გაცემულისესხები	6	21,963,020	21,369,502
მონაწილეობასხვასაზოგადოებაში	7	53,833	155,134
	8	600,000	600,000
ჯამურადმოკლევადიანაქტივები		33,751,780	29,044,319
ძირითადისაშუალეობები	9	29,705,473	35,273,195
ჯამურადგრძელვადიანაქტივები		29,705,473	35,273,195
სულაქტივები		63,457,252	64,317,514
ვალდებულებები			
მოკლევადიანვალდებულებები			
სავაჭროდასხვავალდებულებები	10	33,439,344	40,885,428
გადასახდელიხელფასებიდამომსახურება	11	543,998	710,607
გადასახელისესხები	12	20,185,114	11,733,319
საბიუჯეტოვალდებულებები	13	1,343,333	2,929,449
გადასახდელიდივიდენდები	14	272,527	1,262,409
სულმოკლევადიანვალდებულებები		55,784,317	57,521,212
გრძელვადიანვალდებულებები			
გრძელვადიანისესხები	15	4,672,958	7,298,380
ფინანსურიიჯარა		1,851,590	-
სხვაგრძელვადიანვალდებულებები	16	163,427	2,812,454
სულგრძელვადიანვალდებულებები		6,687,975	10,110,834
კაპიტალი			
სააქციოკაპიტალი		4000	12,430,250
ძირითადისაშუალეობისგადაფასებისრეზერვი		-	-
გაუნაწილებელიმოგება/დაუფარავიზარალი		680,767	(15,744,782)
არამაკონტროლებელის წილი		300,194	
სულკაპიტალი		984,960	(3,159,528)
სულვალდებულებებიდაკაპიტალი		63,457,252	64,317,514

დირექტორი: ზურაბ კიკნაძე

მთ.ბუღალტერი: თემურ ლოლიჯაშვილი

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიშგება 31.12.2019წ დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	17	60,771,978	48,200,992
სულამონაგები		60,771,978	48,200,992
გაყიდულისაქონლისთვისთლირებულება:		(46,774,142)	(40,442,325)
საერთომოგება		13,997,836	7,758,667
საოპერაციოხარჯები	18	(7,084,247)	(5,334,206)
ცვეთისხარჯი		(2,115,292)	(1,990,496)
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი		(366,589)	-
სულსაოპერაციოხარჯები		4,431,709	433,965
არასაოპერაციომოგება	19	18,958,479	2,674,111
არასაოპერაციოზარალი	20	(6,592,269)	(3,247,412)
ფინანსურიხარჯი		(13,641)	(4,265)
სულარასაოპერაციომოგება/ზარალი		12,352,569	(577,566)
მოგებადაბეგვრამდე		16,784,277	(143,602)
მოგებისგადასახადი		(58,535)	(11,402)
წმინდამოგება (ზარალი)		16,725,742	(155,004)

დირექტორი: ზურაბ კიკნაძე

მთ.ბუღალტერი: თემურ ლოლიჯაშვილი

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31.12.2019წ დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	სააქციოკაპიტალი	გაუნაწილებელიმოგება	ჯამი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისმდგომარეობით	12,430,250	(15,589,778)	(3,159,528)
კაპიტალისზრდა პერიოდისწმინდამოგება (ზარალი)	-	(155,004)	<u>(155,004)</u>
გადახდილიდივიდენდი			<u>-</u>
			-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისმდგომარეობით	12,430,250	(15,744,782)	(3,314,532)
კაპიტალისზრდა პერიოდისწმინდამოგება (ზარალი)	(12,426,250)		<u>(12,426,250)</u>
	-	16,725,742	<u>16,725,742</u>
გადახდილიდივიდენდი			<u>-</u>
			-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისმდგომარეობით	4000	980,960	984,960

დირექტორი: ზურაბ კიკნაძე

მთ.ბუღალტერი: თემურ ლოლიჯაშვილი

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 31.12.2019წ დასრულებული წლისთვის (ლარი)

	31.12.2019	12/31/2018
მოგებადაბეგრვამდე	16,725,742	155,004
კორექტირებები:	-	-
ცვეთადაამორტიზაცია	2,115,292	1,990,496
მოგებისგადასახადი	58,535	11,402
ფულადინაკადებისაოპერაციოსაქმიანობიდანსაოპერაციო აქტივების დავალდებულებებისცვლილებებამდე	18,899,570	1,846,893
ცვლილებებიმარაგში	(593,518)	(57,433)
ცვლილებებიდებიტორულდავალიენაბში	(1,321,243)	3,711,531
ცვლილებებისავაჭროდასხვავალდებულებებში	(7,612,693)	(18,765,086)
ცვლილებებისხვააქტივებში	(8,679,554)	6,753,374
ცვლილებებიკრედიტორულდავალიანებაში	(3,071,597)	(3,401,164)
სულფულადინაკადებისაოპერაციოსაქმიანობიდან	3,764,160	(9,919,909)
ფულადინაკადებისაინვესტიციოსაქმიანობიდან		
ფიქსირებულიაქტივებისშემენა/ ჩამოწერა	-	(109,741)
ფიქსირებულიაქტივებისრეალიზაცია	682,733	4,525,523
არამატერიალურიექტივისშემენა	-	-
სულფულადინაკადებისაინვესტიციოსაქმიანობიდან	682,733	4,415,782
ფულადინაკადებისაფინანსოსაქმიანობიდან		
გრძელვადიანი სესხი	(3,422,859)	2,577,157
ფინანსური იჯარა	1,851,590	-
კაპიტალისზრდა	-	-
სულფულადინაკადებისაფინანსოსაქმიანობიდან	(1,571,269)	2,577,157
ფულისადაექვივალენტებისნეტოცვლილება	2,875,624	(2,926,970)
ფულიდაფულისექვივალენტებიპერიოდისდასაწყისში	143,018	3,069,988
ფულიდაფულისექვივალენტებიპერიოდისბოლოს	3,018,641	143,018

დირექტორი: ზურაბ კიკნაძე

მთ.ბუღალტერი: თემურ ლოლიჯაშვილი

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019 წ. დასრულებული პერიოდისთვის

აქტივები	შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	3,018,641	143,018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	8,078,889	6,758,914
მოთხოვნები ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთ მიმართ	5	19,018	17,751
მოთხოვნებისაწარმოსპერსონალისმიმართ მარაგები	6	18,379	-
გაცემულისესხები	7	21,963,020	21,369,502
მონაწილეობასხვასაზოგადოებაში	8	53,833	155,134
ჯამურადმოკლევადიანიაქტივები		600,000	600,000
ძირითადისაშუალეობები	9	33,751,780	29,044,319
ჯამურადგრძელვადიანიაქტივები		29,705,473	35,273,195
სულაქტივები		29,705,473	35,273,195
ვალდებულებები		63,457,252	64,317,514
მოკლევადიანივალდებულებები			
სავაჭროდასხვავალდებულებები	10	33,439,344	40,885,428
გადასახდელიხელფასებიდამომსახურება	11	543,998	710,607
გადასახდელისესხები	12	20,185,114	11,733,319
საბიუჯეტოვალდებულებები	13	1,343,333	2,929,449
გადასახდელიდივიდენდები	14	272,527	1,262,409
სულმოკლევადიანივალდებულებები		55,784,317	57,521,212
გრძელვადიანივალდებულებები			
გრძელვადიანისესხები	15	4,672,958	7,298,380
ფინანსურიიჯარა		1,851,590	-
სხვაგრძელვადიანივალდებულებები	16	163,427	2,812,454
სულგრძელვადიანივალდებულებები		6,687,975	10,110,834
კაპიტალი			
სააქციოკაპიტალი		4000	12,430,250
ძირითადისაშუალეობისგადაფასებისრეზერვი		-	-
გაუნაწილებელიმოგება/დაუფარავიზარალი		680,767	(15,744,782)
არამაკონტროლებელის წილი		300,194	
სულკაპიტალი		984,960	(3,159,528)
სულვალდებულებებიდაკაპიტალი		63,457,252	64,317,514

დირექტორი: ზურაბ კიკნაძე

მთ.ბუღალტერი: თემურ ღოლიჯაშვილი



Handwritten signature and the number 8.

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019 წ. დასრულებული პერიოდისთვის

კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიშგება 31.12.2019 წ. დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები	17	60,771,978	48,200,992
სულამონაგები		60,771,978	48,200,992
გაყიდულისა/ქონლისთვის/თირებულება:		(46,774,142)	(40,442,325)
საერთომოგება		13,997,836	7,758,667
საოპერაციო ხარჯები	18	(7,084,247)	(5,334,206)
ცვეთის ხარჯი		(2,115,292)	(1,990,496)
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი		(366,589)	-
სულსაოპერაციო ხარჯები		4,431,709	433,965
არასაოპერაციო მოგება	19	18,958,479	2,674,111
არასაოპერაციო ზარალი	20	(6,592,269)	(3,247,412)
ფინანსური ხარჯი		(13,641)	(4,265)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		12,352,569	(577,566)
მოგება/დაბეგვრამდე		16,784,277	(143,602)
მოგების გადასახადი		(58,535)	(11,402)
წმინდამოგება (ზარალი)		16,725,742	(155,004)

დირექტორი: ზურაბ კიკნაძე

მთ.ბუღალტერი: თემურ ლოლიჯაშვილი



(Handwritten signature)

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019 წ. დასრულებული პერიოდისთვის

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31.12.2019 წ. დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,430,250	(15,589,778)	(3,159,528)
კაპიტალის ზრდა პერიოდის წმინდამოგება (ზარალი)	-	(155,004)	(155,004)
გადახდილი დივიდენდი			-
			-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,430,250	(15,744,782)	(3,314,532)
კაპიტალის ზრდა პერიოდის წმინდამოგება (ზარალი)	(12,426,250)	-	(12,426,250)
	-	16,725,742	16,725,742
გადახდილი დივიდენდი			-
			-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4000	980,960	984,960

დირექტორი: ზურაბ კიკნაძე

მთ.ბუღალტერი: თემურ ღოლიჯაშვილი



შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019 წ. დასრულებული პერიოდისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 31.12.2019 წ. დასრულებული წლისთვის (ლარი)

	31.12.2019	12/31/2018
მოგებადაბეგრვამდე	16,725,742	155,004
კორექტირებები:	-	-
ცვეთადაამორტიზაცია	2,115,292	1,990,496
მოგებისგადასახადი	58,535	11,402
ფულადინაკადებისაოპერაციოსაქმიანობიდანსაოპერაციო აქტივების დავალდებულებებისცვლილებებამდე	18,899,570	1,846,893
ცვლილებებიმარაგში	(593,518)	(57,433)
ცვლილებებიდებიტორულდავალიენაბში	(1,321,243)	3,711,531
ცვლილებებისავაჯროდასხვადავალდებულებებში	(7,612,693)	(18,765,086)
ცვლილებებისხვააქტივებში	(8,679,554)	6,753,374
ცვლილებებიკრედიტორულდავალიანებაში	(3,071,597)	(3,401,164)
სულფულადინაკადებისაოპერაციოსაქმიანობიდან	3,764,160	(9,919,909)
ფულადინაკადებისაინვესტიციოსაქმიანობიდან	-	(109,741)
ფიქსირებულიაქტივებისშეძენა/ ჩამოწერა	-	-
ფიქსირებულიაქტივებისრეალიზაცია	682,733	4,525,523
არამატერიალურიექტივისშეძენა	-	-
სულფულადინაკადებისაინვესტიციოსაქმიანობიდან	682,733	4,415,782
ფულადინაკადებისაფინანსოსაქმიანობიდან	-	-
გრძელვადიანი სესხი	(3,422,859)	2,577,157
ფინანსური იჯარა	1,851,590	-
კაპიტალისზრდა	-	-
სულფულადინაკადებისაფინანსოსაქმიანობიდან	(1,571,269)	2,577,157
ფულადიდაექვივალენტებისნეტოცვლილება	2,875,624	(2,926,970)
ფულიდაფულისექვივალენტებიპერიოდისდასაწყისში	143,018	3,069,988
ფულიდაფულისექვივალენტებიპერიოდისბოლოს	3,018,641	143,018

დირექტორი: ზურაბ კიკნაძე

მთ.ბუღალტერი: თემურ ლოლოჯაშვილი



შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

მშობელი კომპანია შპს „ზიმო“ (ს/კ 211338015) დაფუძნებულია 1997 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი ყაზბეგის გამზ #19ა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტობანების და ავტობანების, ხიდების და გვირაბების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, სატრანსპორტო მომსახურება.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არიან:

35% - ფ/პ იოსებ თარხნიშვილი

6% - ფ/პ ქეთევან ვეფხვაძე

7% - ფ/პ ზურაბ კიკნაძე

13% - ფ/პ ილია ქავთარაძე

13% - ფ/პ ლევან მარშანია

13% - ფ/პ გია უროტაძე

13% - ფ/პ ალექსანდრე მაღრაძე

შვილობილი კომპანიები:

შპს „ყვარლის ედემში“ (ს/კ 441555256) შპს „ზიმო“ ფლობს 50% წილს. შპს „ყვარლის ედემში“ დაფუძნებულია 2012 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართია ყვარელი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო მომსახურების გაწევა და ღვინის წარმოება.

შპს „ვაჟაში“ (ს/კ 218023234) შპს „ზიმო“ ფლობს 25% წილს. შპს „ვაჟა“ დაფუძნებულია 2002 წელს. წელს. მისი იურიდიული მისამართია ქ. გორი შინდისის გზ. მე-2 კმ. შპს-ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო კოჭების წარმოება.

შპს „ს.მ. ედემში“ (ს/კ 441557717) შპს „ზიმო“ ფლობს 50% წილს. შპს „ს.მ. ედემში“ დაფუძნებულია 2015 წელს. მისი იურიდიული მისამართია ქ. ყვარელი. არ ფუქნციონირებს, რაიმე სახის აქტივი არ გააჩნია.

შპს „ზიმო-7“-ში (ს/კ 245424919) შპს „ზიმო“ ფლობს 25% წილს. შპს „ზიმო-7“ დაფუძნებულია 1999 წელს. მისი იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი ხახულის ქ #35. შპს-ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა.

შპს „საბა ელექტრონიქსში“ (ს/კ 204985105) შპს „ზიმო“ ფლობს 20% წილს. შპს „საბა ელექტრონიქსი“ დაფუძნებულია 2002 წელს. მისი იურიდიული მისამართია ქ. თბილისი აღმაშენებლის გამზ მე-12 კმ. არ ფუქნციონირებს, რაიმე სახის აქტივი არ გააჩნია.

2019 წლის 18 თებერვალს განხორციელდა შპს „ვილა პარკის“ (რომელშიც შპს „ზიმო“ ფლობდა 50% წილს) შერწყმა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის. აღნიშნულ თარიღამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება რაიმე მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი იყენებს სტანდარტების და ინტერპრეტაციების საუკეთესო ცოდნას, ახალი სტანდარტები, დამატებები და ინტერპრეტაციებიარ გამორიცხავს, რომ ფასს-ების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე და გამოქვეყნებამდე შესწორდეს ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის ფასს-ებზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი.

ბ) შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის დამფუძნებლებს აქვთ სურვილი და პოტენციური საქმიანობა განაგრძონ. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

2014 წლის 28 მაისს გამოიცა ფასს 15 - რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ (2017 წლის 1 იანვარი) ფასს 15 ჩაანაცვლა შემოსავლების აღიარების არსებულ პრინციპი, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები, ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15- ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა/მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ პრინციპზე დაფუძნებულ ხუთ ეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა მოდელთან ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან/თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს

ფასს 15 ის მიხედვით საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოსავლის განმარტების ახალი მეთოდები. სტანდარტი სავალდებულო ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აყენებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9 - ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს ჩაანაცვლოს ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნებია :

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა, საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალდებულო ინვესტიციები რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანია საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრება და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითად თანხას და მის

დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9- ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია „სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლებით“. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ბიზნეს მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონსტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონსტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც ძირითადი თანხების გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა ფასს 9 - ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არასაბაზროდ განკუთვნილის) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები, ასევე ბასს-39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ბასს-9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნას სხვა სრულ შემოსავალში. თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების, შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამოს შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- **გაუფასურება.** ფასს-19 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების, გაზომვის „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი, რაც ბასს-39 -ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარება წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს-9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მდგომარეობას, ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით.

ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გამოხატულია ბასს-39-დან .სტანდარტის სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ფასს-9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშის მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.
- **ფასს-16 იჯარა-** ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს. ბასს 17 ლიზინგი, IFRIC განსაზღვრით შეიცავს თუ არა იჯარას. SIC-15 საოპერაციო იჯარა-სტიმულირდება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხულ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხული მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელი ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გაცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შეესაბამისი რჩება. ე.ი იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს, ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს-15 - შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა.

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხო ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მირ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით დაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული კურსით.

2.4 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდათმობის და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს. შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულის მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასხდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

საპროცენტო შემოსავლები

ფინანსური აქტივებიდან მისაღები საპროცენტო შემოსავალი აღიარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და მისი შეფასება შესაძლებელია. საპროცენტო შემოსავალი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პროცენტის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მოსალოდნელი ფულადი სახრსების შემოდიანებას ფინანსური აქტივების საბოლოო ღირებულებამდე.

2.5 იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივებიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატიურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმოდგენილი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.6 მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიისთვის აქტივების და ვალდებულებების და საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2.7 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლობის მიღება აღიარდება აქტივად.

2.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ერთეულის საწყისის აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღიარებული ტიპის დანახარჯებისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პროცესში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხას შორის. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის ნაშთის შემცირების მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან

ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

2.9 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებას ფლობენ საიჯარო შემოსავლის მისაღებად და/ან კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად. თავდაპირველად საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოცავს ტრანზაქციების ხარჯებს. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯს.

შემდომში საინვესტიციო ქონება ასახულია თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა და სააღრიცხვო თარიღისთვის არსებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის გაანგარიშება ხორციელდება ცვეთის ნაშთის შემცირების მეთოდის გამოყენებით შემდეგი ნორმებით: შენობა-ნაგებობა - 5%; კონტეინერები - 5%

2.10. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურებუ ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის ნაშთის შემცირების მეთოდით.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღიარდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურეობის განმსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველ საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს, ან მაშინ როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი, არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემდეგ მიღებული მოგებაან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

2.11. მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისთვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ღირებულებების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და

თანმიმდევრული საფუძვლები, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლები.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით. რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებების და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.12. მარაგები

მარაგის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების

ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად,როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი.მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად,როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების(ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.მარაგები ჩამოიწერება ფიფო მეთოდის გამოყენებით.

2.13. ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ,როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე(იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება,მოსალოდნელია რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას,რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად ანგარიშების პერიოდის ბოლოსთვის.ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობის გათვალისწინებით.როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით,მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება(თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია.)

თუ ამოსალოდნელია ნარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან, მისაღები თანხის აქტივად აღიარება ხდება მაშინ,როდესაც შესაძლებელია ფაქტობრივად გარანტირებული ანაზღაურების მიღება და მისაღების თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება .

2.14. პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში,თუმცა განმარტებულია. გარდა იმ შემთხვევებისა,როდესაც დაბალია ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში,თუმცა განმარტებულია მაშინ,როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

2.15. ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ,როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით.გარიგების დანახარჯები,რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების

გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობის ინვესტიციებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებლად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლოა გაუფასურების ინდიკატორად:

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია;
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივები რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა,დამატებით, ჯგუფურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად.ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში,გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრებაროგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებისა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის,რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში,გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრებაროგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის,რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება,ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან.ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით.გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში,თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას,უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად,რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას,რომელიც გვექნებოდაგაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას,როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს.თუ კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს,კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან

დაკავშირებულ ვალდებულებებში,იმ თანხების ოდენობით,რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს.ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში,აქტივის საბალანსო ღირებულებას და მიღებულ თანხას შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულები და წილობრივი ინსტრუმენტები

მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი,სახელშეკრულებო პირობებისა და ფინანსური ვალდებულებებისა და წილობრივი ინსტრუმენტების განმარტებების მიხედვით.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი,რომელითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ.კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის რეალური ღირებულების ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად.ფინანსური ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით,ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს.ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი,რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში,ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში,საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში,როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულებების პირობები არსებითად შეიცვლება. ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება,როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება.აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

2.16. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.17. დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახორციელებს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან.

3.1. ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შემდეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა 4 - ფულიდაფულადიექვივალენტები	12/31/2019	12/31/2018
შპს "ზიმო" სათაო კომპანია		
ლარებისა ბანკო ანგარიშებზე	2,400,132	138,193
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	43	
ნაღდი ფულისა ლაროში ლარებში	562,410	100
შპს "ყვარლის ედემი"		
ნაღდი ფულისა ლაროში ლარებში	56,056	620
ლარებისა ბანკო ანგარიშებზე	-	4,102
სულ ფულადისა ხსრები	3,018,641	143,018

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

შენიშვნა 5 - სავაჭროდასხვამოთხოვნები	12/31/2019	12/31/2018
შპსზიმო	7,375,143	3,967,461
შპს "ყვარლისედემი"	703,746	2,700,669
სულსავაჭროდასხვამოთხოვნები	8,078,889	6,758,913

შენიშვნა 6 - მოთხოვნებიერთობლივისაქმიანობისმონაწილეთამიმართ	12/31/2019	12/31/2018
შპსზიმო	19,018	17,191
სულმოთხოვნებიერთობლივისაქმიანობისმონაწილეთამიმართ	19,018	17,191

შენიშვნა 7 - სასაქონლომატერიალურიმარაგები	12/31/2019	12/31/2018
საწვავი	9,003	16,988
სხვა მარაგი	20,338,466	16,437,791
საქონელი	667,642	2,867,849
მზაპროდუქცია	-	1,784,650
მცირეფასიანისასაქონლომატერიალურიმარაგები	5,046	5,046
შუალედური ანგარიში	713,179	-
სასაქონლომატერიალურიმარაგები	229,683	257,177
სულსასაქონლომატერიალურიმარაგები	21,963,020	21,369,502

შენიშვნა 8 - გაცემულისესხები	12/31/2019	12/31/2018
იურიდიულიპირები	53,833	130,384
ფიზიკურიპირები	-	24,750
სულგაცემულისესხები	53,833	155,134

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

შენიშვნა 9 - მონაწილეობასხვასაზოგადოებაში	12/31/2019	12/31/2018
ვაჟა - 25%	100,000	100,000
ზიმო-7 - 25%	500,000	500,000
სულ მონაწილეობასხვასაზოგადოებაში	600,000	600,000

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

შენიშვნა 10 - ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთი	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენიშნული საშუალებები	მრავალწლიანი ინვენტარი	ბიოლოგიური აქტივები	ძალაში არმყოფი მანქანები და აღჭურვილობა	სამშენებლო მანქანები	ვარგისი და მოწყობილობები	კომპ. ტექნიკა	აგეგმი	სხვაგვარი ძირითადი საშუალებები	საქონლის საშუალებები	ლიზინგი და სხვა მოქმედი საშუალებები	არამატერიალური ქონებები	სულ
ბალანსი 31/12/2018	1,300,365	7,178,444	18,198,659	467,277	6,945	3,776,963	1,460,214	350,518	68,040	678,874	260,643	11,743,965	-	1,748,758	47,239,664
დანამატები	793,521	1,352,524	461,925	54,226	5,300	42,782	734,628		19092	24447.99	180,065	23,000	1,781,086	3292.92	5,475,889
აქტივების ჩამოწერა გადაფასება	(669,631)	(3,762,737)	(2,310,681)	323,008	41,038	(1,393,063)	(41,793)	(14,911)	33,769	582792.71	(2,178)	(3282682.4)	(0)	(32,728)	(10,529,796)
ბალანსი 31/12/2019	1,424,254	4,768,231	16,349,903	844,511	53,282	2,426,683	2,153,049	335,607	120,900	1,286,115	442,885	8,484,282	1,781,086	1,719,323	42,190,112
აკუმულირებული ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2018	-	-	(4,112,200)	(376,633)	(46,338)	(1,654,381)	(1,417,691)	(110,168)	(87,794)	(1,033,340)	(223,744)	(2,898,699)	0	(5,479)	(11,966,468)
ცვეთა პერიოდისათვის			(890,009)			(309,577)	(87,835)	(17,977)	(6,035)	(64,211)	(102,377)	(517,866)	(128,188)	(3,740)	(2,127,814)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა						524,134						1799088			2,323,222
გადაფასება															-
ბალანსი 31/12/2019	-	-	(5,002,209)	(376,633)	(46,338)	(1,439,824)	(1,505,526)	(128,145)	(93,829)	(1,097,552)	(326,121)	(1,617,477)	(128,188)	(9,219)	(11,771,060)
წმინდა ღირებულება															-
ბალანსი 31/12/2018	1,300,365	7,178,444	14,086,459	90,644	(39,393)	2,122,582	42,522	240,350	(19,754)	(354,467)	36,898	8,845,265	0	1,743,279	35,273,195
ბალანსი 31/12/2019	1,424,254	4,768,231	11,347,694	467,878	6,945	986,859	647,523	207,462	27,071	188,563	116,764	6,866,805	1,652,899	1,710,104	30,419,052

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

შენიშვნა 11- სავაჭროდა სხვა ვალდებულებები	12/31/2019	12/31/2018
ვალდებულებამომსახურებიდან	5,384,790	4,064,060
მიღებულიავანსები	27,283,212	35,954,871
სხვა ვალდებულებები	594,471	291,181
ვალდებულებებიმეკავშირესაწარმოებისწინაშე		
გრძელვადიანიკონტრაქტებისმიმდინარე ვალდებულება		
ვალდებულებამომსახურებიდან (შპს "ყვარლისედემი")	176,872	480,269
ვალდებულებამომსახურებიდან (შპს "ვილაპარკი")	-	95,047
სულსავაჭროვალდებულებები	33,439,344	40,885,428
შენიშვნა 12 - გადასახდელი ხელფასები	12/31/2019	12/31/2018
	543,998	710,607
სულ გადასახდელი ხელფასები	543,998	710,607
შენიშვნა 14 - გადასახდელის სესხები	12/31/2019	12/31/2018
მოკლევადიანი სესხები	20,030,944	4,999,987
ფიზიკური პირები	-	4,839,097
სესხები პარტნიორებისაგან	114,708	555,207
გადასახდელი პროცენტები	40,318	1,339,027
სულ გადასახდელის სესხი	20,185,969	11,733,319
შენიშვნა 13 - საბიუჯეტო ვალდებულებები	12/31/2019	12/31/2018
ერთიანი გადასახადი შპს "ყვარლისედემი"	413,706	2,642,433
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	929,628	274,536
სხვა საგადასახადო ვალდებულებები შპს "ვილაპარკი"	-	12,480
სულ საბიუჯეტო ვალდებულებები	1,343,333	2,929,449
შენიშვნა 15 - გრძელვადიანი ვალდებულებები	12/31/2019	12/31/2018
ვალდებულებები ფინანსური ჯარაზე	1,851,590	-
გრძელვადიანის ასესხო ვალდებულებები	4,672,958	4,971,145
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება	163,427	2,327,235
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	6,687,975	7,298,380

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

შენიშვნა 16 - ამონაგები	12/31/2019	12/31/2018
შპს "ზიმო"		
რეალიზაცია 0%-იანი დღე-ით	-	3,137
რეალიზაცია 18%-იანი დღე-ით	58,647,429	45,728,080
სხვარეალიზაცია	-	11,174
რეალიზაცია კვება 18%	-	192,007
შპს "ყვარლისედეში"		
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,124,550	2,174,577
შპს "ვილაპარკი"		
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	92,018
სულამონაგები	60,771,978	48,200,992

შენიშვნა 17- საოპერაციო ხარჯები	12/31/2019	12/31/2018
შპს "ზიმო"		
ბინის რეალიზაცია	2,527,414	807,328
საოფისი ინვენტარის ხარჯი	2,559	4,996
რეკლამის ხარჯები	34,175	-
შრომის ანაზღაურება	1,458,500	1,448,501
პროფესიული მომსახურება	136,162	82,527
საწვავის ხარჯი	89,126	172,515
საკანცელარიო ხარჯები	4,286	7,042
კომუნიკაციის ხარჯები	25,731	25,415
რემონტის ხარჯები	327,043	284,407
კომუნალური ხარჯები	16,789	36,243
კომპიუტერის ხარჯები	2,938	157
სხვა საგადასახადო ხარჯები	124,576	181,324
საბანკო ხარჯები	116,060	65,617
მივლინების ხარჯები	27,683	12,304
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,077	901
სხვა საერთო ხარჯები	591,570	52,073
შპს "ყვარლისედეში"	1,597,557	2,132,352
შპს "ვილაპარკი"	-	20,505
სულ საოპერაციო ხარჯები	7,084,247	5,334,206

შენიშვნა 18 - არასაოპერაციო მოგება	12/31/2019	12/31/2018
შპს "ზიმო"		

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

სხვაარასაოპერაციოშემოსავალი	18,945,365	2,005,114
საპროცენტოხარჯები	1,640	661,906
შპს "ყვარლისედემი"	11,474	7090
სულარასაოპერაციომოგებ	18,958,480	2,674,111

შენიშვნა 19 - არასაოპერაციოზარალი	12/31/2019	12/31/2018
შპს "ზიმო"		
კურსთაშორისსხვაობა	2,472,317	903,938
საპროცენტო ხარჯი	2,960,524	-
სხვაარასაოპერაციოხარჯები	1,067,126	2,245,301
შპს "ყვარლისედემი"	105,943	71,336
შპს "ვილაპარკი"	-	26,837
სულარასაოპერაციოზარალი	6,605,910	3,247,412

21. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: ფინანსური, საოპერაციო და სამართლებრივი. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკებს (მათ შორის საპროცენტო განაკვეთის რისკსა სავალუტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტორისკსდალიკვიდურობისრისკს. ფინანსური რისკისმართვისძირითადიამოცანებია რისკისშეზღუდვებისდადგენადაშემდგომი მისი უზრუნველყოფა, რომლისკისფაქტორისადმიდაქვემდებარებააშეზღუდვებსარგასცდეს. საოპერაციოდასამართლებრივი რისკისფაქტორებისმართვისფუნქციებიგანკუთვნილიაშიდაპოლიტიკი სდაპროცედურებისსათანადოდფუნქციონირებისმიზნით, საოპერაციოდასამართლებრივი რისკებისშესამცირებლად.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანია დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საბაზრო რისკი.

კომპანია განიცდის საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო:

- უცხოურვალუტებში,
 - პროცენტიანაქტივებსადავალდებულებებში
 - ლიკვიდურობის რისკითპროდუქტებისმხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზროცვლილებებს. მენეჯმენტი განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვანსაბაზროცვლილებებს.
- საანგარიშოპერიოდშისაზოგადოებასარგააჩნიაზართანდაკავშირებულიარსებითირისკები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული მინიმალური ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისათვის.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში ჰქონდა ბრუნვა უცხოურ ვალუტაში, თუმცა პერიოდის ბოლოს მას არ გააჩნია აქტივები უცხოურ ვალუტაში. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საზოგადოებას არ გააჩნია რისკი, რომელიც გამოწვეულია საწარმოს ფინანსურ პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით, რადგან ხარჯები გაიწევა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში; შემოსავლების ძირითადი ნაწილი მიიღება ასევე ლარებში; საწარმოს არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული არც ერთი ვალდებულება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ერთობლივი საქმიანობის მონაწილეების არსებული მოთხოვნებიდან.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკა მოითხოვს საფუძვლიან ანალიზს, რაც თავიდან ააცილებს დიდი ოდნობით დავალიანებას, საჭიროა ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლი და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვა. არსებული პოლიტიკით კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცვლების სტატუსის მიხედვით. ასევე განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლის გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

	31/12/2019	12/31/2018
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულადი ექვივალენტები	3,018,641	143,018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8,018,889	6,758,913
მოთხოვნებისა წარმოს პერსონალის მიმართ	18,379	-
	11,115,909	6,901,932

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქცეითვის ზეგავლენა პოტენციურისა კრედიტორის კისფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, არაარსებითია.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს საკმარისი ფინანსური რესურსის არარსებობას, რათა შესაბამის ვადაში მოხდეს სესხების გასტუმრება, სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა. ლიკვიდურობის რისკის მართვისათვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანიის ფულადი აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი აჩვენებს, რომ კომპანია მეტ ყურადღებას აქცევს ვალდებულებების დაფარვას ვიდრე დებიტორებიდან თანხების ამოღებას. საანგარიშგებო პერიოდში ფიქსირდება მაღალი დონის ლიკვიდობა, შესაბამისად კომპანიას მნიშვნელოვნად აქვს შემცირებული ლიკვიდობის რისკი.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2019	12/31/2018
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულადი ექვივალენტები	3,018,641	143,018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8,018,889	6,758,913
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	18,379	-
	11,115,909	6,901,932
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	33,439,344	40,885,428
ვალდებულება პერსონალის მიმართ	543,998	710,607

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

გადასახდელი სესხები	20,185,114	11,733,319
გადასახდელი გადასახადები	1,343,333	2,929,449
გრძელვადიანი სესხები	6,687,975	10,110,834
	62,199,765	66,369,637

22. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებებისათვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებებით შეფასებისას გამოიყენება ხელმისაწვდომი საბაზრო მონაცემები. რეალური ღირებულების შეფასებისას ხდება შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველი და მეორე დონეებში აღწერილი ემპერიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასებების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრება ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მომველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება ყველა არსებული საბაზრო ინფორმაცია.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონდე ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

გამომდინარეობს ფულადი სახრსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით არჩეულია დაფინანსების კონსერვატიული პოლიტიკა - მიმართავენ გრძელვადიანი დაფინანსების წყაროს.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთან, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება დაქირავებული საბუღალტრო კომპანიისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას საბუღალტრო კომპანიისგან, მიმოიხილავს თავისი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თითოეულ

დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებული აუშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არამხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

საანგარიშო პერიოდში ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს:

წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2019	12/31/2018
მენეჯმენტის გაცემული ხელფასი	574,912	574,912

24. განუსაზღვრელი ვალდებულებები

შპს „ზიმოს“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

31.12.2019წ დასრულებული პერიოდისთვის

სასამართლოგანხილვები- საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას ჰქონდა სასამართლოდავა (დღემდე მიმდინარეობს) სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები - საანგარიშო პერიოდში კომპანიის აქტივები (მოძრავი ქონება) დაგირავებულია საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურირების გამო.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება - კომპანიას სხვადასხვა მომწოდებლებთან (კომუნალური მომსახურების, სამეურნეო ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო შესყიდვების) გააჩნია ვალდებულებები. მათი გადახდის რისკები არ ფიქსირდება.

25. ბალანსის შედგენის თარიღის შედგენის შემდგომი მოვლენები

2020 წლის თებერვლიდან მსოფლიოში დაიწყო COVID-19-ის ვირუსის გავრცელება და მალე პანდემია გამოცხადდა. ამ ფაქტორმა მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს ბიზნეს გარემო და მთლიანად საზოგადოების ცხოვრების წესი. საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო: დაწესდა შეზღუდვები ტრანსპორტის გადაადგილებაზე, თანამშრომლები გადავიდნენ სახლიდან მუშაობის რეჟიმზე. საქართველოს მთავრობამ შემოღებული ზომები ეტაპობრივი გააუქმა 2020 წლის მაისის ბოლოდან. აწ ოქტომბრის ბოლოს ისევ განახლდა შეზღუდვები და ამ დროისთვისაც გრძელდება.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ზომებისა, კომპანიას არ წეუწყვეტია მუშაობა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების ნებადართვის თარიღისათვის, კომპანია ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს თავის საქმიანობას - ახორციელებს სამშენებლო პროექტებს და ახდენს რეალიზაციას. ამ ეტაპზე ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ COVID-19-ის აფეთქებას არსებითი უარყოფითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ და ნებადართულია გამოსაშვებად 2021 წლის 25 მარტს.

სამშენებლო კომპანია შპს „ზიმო“
კონსოლიდირებული მმართველობითი
ანგარიშგება
- 2019 წელი



საკონტაქტო ინფორმაცია:

მცხეთა, სოფელი საგურამო . 3311 საქართველო

e-mail: zimo@zimo.ge

კომპანიის საქმიანობის საგანი

- ზიდებისა და გვირაბების მშენებლობა
- გზებისა და ავტომაგისტრალების მშენებლობა
- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მშენებლობა
- სატრანსპორტო მომსახურება
- იჯარა
- სამშენებლო მასალის რეალიზაცია



ზოგადი ინფორმაცია:

კომპანია „ზიმო“ დაფუძნდა 1997 წლის 20 მარტს.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

ზურაბი კიკნაძე (პ.ნ. 0100800479) – 13%;


ილია ქავთარაძე (პ.ნ. 01010008761) – 13%;

ლევან მარშანია (პ.ნ. 01009003969) – 13%;

გია უროტაძე (პ.ნ. 01024014103) – 13%;

ალექსანდრე მაღრაძე (პ.ნ. 01006012345) -13%;

იოსებ თარხნიშვილი (პ.ნ. 01010004035) – 35%;



კომპანიის გამოცდილება

- შპს „ზიმო“ საქართველოში ერთ-ერთი იმ მსხვილ საწარმოთაგანია, რომელიც ეწევა რთული საინჟინრო შენობა-ნაგებობებისა და კონსტრუქციების აშენებას და მის წინაშე დასმული სხვადასხვა სახის მომსახურების კვალიფიციურ შესრულებას. შპს „ზიმოს“ გააჩნია გრძელვადიანი მსხვილი დაკვეთები პირდაპირი კონტრაქტები კლიენტებთან. შპს „ზიმო“ ასევე მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ტენდერებში და პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. შპს „ზიმო“ როგორც მოგებაზე ორიენტირებული კომპანია ყოველწლიურად ზრდის აქტივებსა და მომსახურების სფეროს.



კომპანიას ყველა პირობა აქვს ზემოაღნიშნული საქმიანობისათვის, გააჩნია მატერიალური ტექნიკური ბაზა, ძვირადღირებული ტექნიკა, ჰყავს გამოცდილი ინჟინერ-პერსონალი. იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომ ქვეყნის სამშენებლო ბაზარი, საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს, სულ უფრო და უფრო იზრდება შეკვეთების რაოდენობა, კომპანიას აქვს მრავალი წარმატებულად განხორციელებული პროექტები, აქვს არსებული დაუმთავრებელი მშენებლობები, რომლებიც დასრულდება მომდევნო წლებში. შპს „ზიმო“ გააჩნია 50% წილი შპს „ყვარლის ედემში“ რომლის საკუთრებაშია მაღალი დონის სასტუმრო ქ. ყვარელსა და „ყვარლის ტბის“ შორის, ასევე და ამასთან კომპანიის განვითარებაზე დაყრდნობით ცხადია, რომ მომავალშიც ექნება მრავალი კონტრაქტები და ხელშეკრულებები. კომპანიას, წინა წლების შემოსავლების ანალიზის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში არ არ გაუჭირდება ინვესტიციების მოძიება.



შპს „ზიმომ“ 2006 წელს პირველად საქართველოში დაიწყო ავტობანის მშენებლობა თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის 27კმ-43კმ მონაკვეთზე.

2010 წელს აღიარებული იქნა წლის საუკეთესო სამშენებლო კომპანიად.



ნატანტარი - აღიანის მონაკვეთი

Remark:

All artificial structures, bridges, culverts, underpasses, interchanges, retaining walls were built by “Zimo” Ltd

ანაკლიისა და განმუხურის დამაკავშირებელი ხიდი მდინარე ენგურზე.



პიერის მონუმენტი ლაზიკაში



Total Length – 139.00 m.

შავი ზღვის უნივერსიტეტის შენობა ბათუმში.



კაფეს შენობა სათაფლიაში



ქ. ყვარელი, ყვარლის ედენი



Owner of the complex is Company “Zimo” Ltd

საბაგირო გზა გოდერძის უღელტეხლზე



Whole complex including ropeways, piles, ski slopes etc. were constructed by “Zimo” Ltd

2014

ბილიკი ტურისტებისათვის ოკაცის კანიონზე



იუსტიციის სახლი თელავში



ხიდო ბორჯომ პარკში, ქ. ბორჯომი



ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი სვანეთში



ხუთსართულიანი რეზიდენცია ანაკლიაში



ქ. თბილისი, ისან-სამგორის რაიონი, საცხოვრებელი კორპუსი



ქარელის რაიონი, ხიდი მტკვარზე



მესტიის რაიონი, ხიდი მუხურაზე



იუსტიციის სახლი მეტიაში



პოლიციის შენობა მესტიაში



გვირაბი, ზუგდიდი-მესტიის გზის 89 კმ.



2005
ჩაქვი-მახინჯაურის ახალი გზა



2004

ხიდი მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის 47 კმ-ზე.



2003
ფოთი, ხიდი მდინარე კაპარჭაზე




ქ. ყვარელი სასტუმრო „ყვარლის ედენი“




ორგანიზაციული სტრუქტურა

SECTION "A"



SECTION "A"



შვილობილი კომპანიები

- შპს ზიმო - 7 (ს.კ. 245424919) – 25%
- შპს ყვარლის ედემი (441555256) – 50%
- შპს ვაჟა (ს.კ. 218023234) – 25%
- შპს საბა ელექტრონიკსი (ს.კ. 204985105) – 20%
- შპს ს.მ. ედემი (ს.კ. 441557717) – 50%



- ყვარლის ედემის საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო მომსახურეობა და ღვინის წარმოება, 2019 წლის განმავლობაში, ყვარლის ედემში შპს „ზიმო“-მ განახორციელა საწესდებო კაპიტალის შევსება. ყვარლის ედემიდან 2019 წლის განმავლობაში კომპანიას არ მიუღია მოგება, თუმცა მიგვაჩნია, რომ ჩადებული ინვესტიცია გამართლებულია, რადგან გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე და ამ ეტაპზე გასულია რამდენიმე წელი.
- შპს ვაჟა ასევე წარმოადგენს საწარმოს, რომელიც მდებარეობს ქ. გორში და ამზადებს ბეტონისა და რკინა-კონსტრუქციის სხმულებს.
- შპს ზიმო-7 ეწევა გზების მშენებლობას, ძირითადად აჭარის რეგიონში.
- შპს საბა ელექტრონიკს რამოდენიმე წელია შეჩერებული აქვს ეკონომიკური საქმიანობა.
- შპს ს.მ. ედემი წარმოადგენს სამონადირეო კომპლექსს ქ. ყვარელში. ეკონომიკურ საქმიანობა შეჩერებული აქვს და მიმდინარეობს მისი მოდერნიზაცია.



კორპორაციული მართვის ანგარიშგება

მიმოხილვა

- კორპორაციული მართვა წარმოადგენს კომპანიის მართვისა და კონტროლის ერთიან სისტემას, რომელიც განსაზღვრავს უფლებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას მმართველ ორგანოებს, აღმასრულებელ ორგანოებს, აქციონერებსა და კომპანიით დაინტერესებულ სხვა მხარეებს შორის. კორპორაციული მართვა ასევე მოიცავს გადაწყვეტილებების მიღებასა და კომპანიის საქმიანობის განხორციელების ეფექტურობაზე მონიტორინგთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს.
- საზოგადოებაში პასუხისმგებლობა კორპორაციულ მართვაზე ორ სტრუქტურულ ერთეულს შორის ნაწილდება: დირექტორი და აღმასრულებელი მენეჯმენტი, მიუხედავად იმისა რომ კორპორაციული მართვისთვის მნიშვნელოვანია აუდიტის კომიტეტი, კომპანიას არ შეუქმნია იგი.
- აუდიტის ფუნქციების შესრულებას უზღუნველყოფს აღმასრულებელი დირექტორი, იგი პასუხისმგებელია:
- ფინანსური ანგარიშგება იყოს გასაგები, გამჭვირვალე და სანდო;



- განიხილოს კორპორაციულ პოლიტიკა, რამდენად შეესაბამება კანონმდებლობას, ეთიკის ნორმებს;
- გამოიძიოს საზოგადოებაში ინტერესთა კონფლიქტის ფაქტი და თაღლითობის გამომწვევი ფაქტი (ასეთის გამოვლენისას);
- მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეს მენეჯმენტთან, რათა ინფორმირებული იყოს ორგანიზაციაში სიახლეების დანერგვაზე;

საზოგადოების მართვის სისტემა შედგება შემდეგი ელემენტებისგან :

პარტნიორთა საერთო კრება - საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო, რომლის მეშვეობითაც დამფუძნებლები ახორციელებენ თავის უფლებას მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში;

კომპანიის დირექტორთა საბჭო - მართვის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას და ახორციელებს საზოგადოების პარტნიორთა მიერ განსაზღვრულ სტრატეგიას.

საზოგადოების გენ. დირექტორის კომპეტენცია განისაზღვრება კანონმდებლობით და მასთან დადებული ხელშეკრულებით.



საზოგადოების ეფექტური, ოპერატიული და კანონშესატყვისი მართვისათვის ხელმძღვანელებს შორის გადანაწილებულია თანამდებობრივი ფუნქციები. დირექტორის ძირითად ფუნქციებში შედის: საზოგადოების საქმიანობის ოპერატიული მართვა, საზოგადოების სახელით მისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება, მოლაპარაკებების წარმოება, ხელშეკრულებების ხელმოწერა.

დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე იმოქმედოს საზოგადოების სახელით.



ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა

დაქირავებული საბუღალტრო კომპანია ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის დეტალური შენიშვნები, რომლებიც ამ ანგარიშგების მიმღებს საზოგადოების საქმიანობის ფინანსური შედეგების სწორად ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. ფინანსურ ანგარიშგების შეფასებას ახორციელებს გარე აუდიტორი.

შპს ყვარლის ედემმა არ განახორციელა 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

საზოგადოებას არ გააჩნია წერილობითი ფორმით შიდა კონტროლის სისტემები. თუმცა კონტროლის პროცედურები ხორციელდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, პარტნიორთა საერთო კრების. გადაწყვეტილებების საფუძველზე. თანამშრომელთა ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, პასუხისმგებლობა გათვალისწინებულ საზოგადოების ორგანიზაციულ-განმკარგულებელი დოკუმენტებით (ბრძანება).



კონტროლის სისტემა თავისი არსით გულისხმობს, რომ არსებობენ პროცედურების შემსრულებელი პირები და არსებობენ ამ პროცედურების შესრულების დონის განმსაზღვრელი მაკონტროლებელი პირები. საზოგადოების ფინანსური განყოფილებას ხელმძღვანელობს ფინანსურ დირექტორი, ხოლო განყოფილებაში ყველა ოპერაციას ახორციელებს დაქირავებული ფინანსური კომპანია, რომლებიც ასრულებენ ყველა ფინანსურ ოპერაციას და ამზადებენ ფინანსურ ანგარიშგებას. მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას განიხილავს საზოგადოების გენერალური დირექტორი და პარტნიორთა კრება. კომპანიის ადმინისტრაციაში არ არის კადრი, რომელიც შეიძლება მონაწილეობდეს შიდა კონტროლის სისტემებში. კონტროლ გამარტივებულ პროცედურებს ახორციელებს საზოგადოების გენ. დირექტორი.



რისკების მართვის გავრცელებული მოდელია ე.წ. “Coso's Enterprise Risk Management - Integrated Framework”. (Coso - the Committee of Sponsoring Organizations of the Treadway Commissions რაც ნიშნავს ბიზნეს-ეთიკის, ეფექტური შიდა კონტროლის და კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვის გზით ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებას).

რისკის მართვის ეს მიდგომა ითვალისწინებს სტრუქტურირებულ და კოორდინირებულ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია პოტენციური რისკების გამოვლენაზე, გაზომვაზე, საპასუხო რეაგირებასა და შესაძლებელი შედეგების შეფასებაზე.

საზოგადოება ვერ გამოიყენებს ზემოაღნიშნულ მოდელს. რისკების მართვასთან დაკავშირებით შესაძლოა იგივე გავიმეოროთ, რაც ზემოთ აღინიშნა შიდა კონტროლის სიტემებთან მიმართებაში (არ ჰყავს კვალიფიციური კადრი). კომპანიაში რისკის მართ. პროცესებს მენეჯმენტი ნერგავს, ხოლო მის ეფექტურობას აფასებს პარტნიორთა კრებ.



პარტნიორთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

ჩვეულებრივი შპს-ს წილის ყოველ მფლობელს უფლება აქვს დაესწროს პარტნიორთა კრებას და შეიტანოს წინადადებები განსახილველად.

მმართველობის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. წელიწადში ერთხელ წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, სადაც განიხილება წლიური შედეგები და სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორის ან პარტნიორის მოთხოვნით.

პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც, ყველა პარტნიორს და დირექტორსაც შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისთვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის საშუალებით, წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგს, კრება



გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორები, გადაწყვეტილება მიიღება კრებაზე დამსწრეთა კრების უმრავლესობით, თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესით და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება, მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანოა მაშინაც კი თუ მასზე არ გამოცხადდებიან ხმის უფლების მქონე უმრავლესობის პარტნიორები.

პარტნიორებს შეუძლიათ ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათ გათავისუფლებას საქმიანობიდან.

პარტნიორებს საზოგადოებიდან გასვლა შეუძლია განახორციელოს პარტნიორთა კრების მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში.

საერთო კრება უფლებამოსილია:

მიიღოს ცვლილებები საზოგადოების წესდებაში. შეცვალოს საზოგადოების წესდება.



მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.
მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან
დატვირთვის შესახებ.

პარტნიორთა კრებამ საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება
სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში.



პარტნიორთა კრების შემადგენლობისა და ფუნქციონალურობის მიმოხილვა

საზოგადოების მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა კრება და დირექტორი.

პარტნიორთა კრება ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას მოახსენებს საერთო კრებას.

პარტნიორთა კრება ნიშნავს საზოგადოების დირექტორს - გამოიწვიოს, მასთან სამსახურობრივი ხელშეკრულება გააფორმოს და შეწყვიტოს.

პარტნიორთა კრების თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

- კაპიტალდაბანდებათა შეძენა და გასხვისება;
- უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- წლიური ბიუჯეტის, საგეგმო ბალანსის და მოგება-ზარალის გეგმის შედგენა.



ფინანსური ანგარიშგება და საბუღალტრო აღრიცხვა

საზოგადოება 2017 წლიდან ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) საფუძველზე.



ინფორმაცია ფილიალების შესახებ

საზოგადოებას არ გააჩნია ფილიალი.

საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით და ოფისები წარმოდგენილია თბილისში, აჭარასა და შიდა ქართლში.



განვითარების გეგმა

საზოგადოება ითვალისწინებს სამშენებლო ბაზარს, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ზრდისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს, და ამ მიმართულებით, მენეჯმენტი ყოველწლიურად ანახლებს და აუმჯობესებს სამშენებლო ტექნიკასა და შესაბამისად ხარისხს, მისი მომავალი განვითარებისა და შემოსავლის ზრდის მიზნით.

გეგმის შესრულების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზრდება კომპანიის არა მარტო შემოსავალი, არამედ მოგებაც, რაც კიდევ უფრო მეტ სტაბილურობას შესძენს საზოგადოების ფუნქციონირებას.

საზოგადოება ორიენტირებულია მსხვილ გრძელვადიან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე რაც რაც უზრუველყოფს მის მდგრად განვითარებას.

საზოგადოება ორიენტირებულია შემოსავლების დივერსიფიკაციაზე, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, საცხოვრებელი და საოფისე ფართების მშენებლობა რეალიზა სატრანსპორტო გადაზიდვები, ქონების იჯარა.



საწარმოს ფუნქციონირებადობა

საზოგადოების ბიზნეს პარტნიორები არიან საქართველოში ცნობილი და მსხვილი კომპანიები: შპს „ელიტა ბურჯი“, ასოციაცია „ატუ“ , შპს „ბლექ სი რივიერა“, შპს „კავკაზუს როუდ პროჯექტ“, შპს „ბლექსი გრუპი“.

კომპანია ახორციელებს ისეთ მსხვილ პროექტებს როგორცა ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობას განმუხურში, თანამედროვე ფეშენებელური სასტუმროს მშენებლობას აჭარის რეგიონში მწვანე კონცხზე, ქ. ქუთაისში საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობა და სამი ერთული ხიდი მდინარე ყვირილაზე, დუშეთის რაიონში ანანურის სამონასტრო კომპლექსის კეთილმოწყობა.

საზოგადოება არა ორიენტირებული, მხოლოდ სახელმწიფო ტენდერებზე, და მას გაჩ
გრძელვადიანი სამშენებლო კონტრაქტები კერძო კომპანიებისაგან.



შპს ზიმოს კონსოლიდირებული 2019 წლის ფინანსური შედეგები

		12/31/2019	12/31/2018	12/31/2017	12/31/2016
ამონაგები		60,771,978	48,200,992	29,550,125	15,908,994
სულ ამონაგები		60,771,978	48,200,992	29,550,125	15,908,994
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		(46,774,142)	(40,442,325)	25,175,744	11,419,736
მარაგები პერიოდის დასაწყისში			-	1,0914,561	3,964,177
შესყიდვების ხარჯები			-	41,810,375	18,370,120
მარაგები პერიოდის ბოლოს			-	27,549,193	10,914,561
საერთო მოგება		13,997,836	7,758,667	4,374,381	4,489,258
საოპერაციო ხარჯები		(7,084,247)	(5,334,206)	(5,245,306)	-4703348
ცვეთის ხარჯი		(2,115,292)	(1,990,496)	(1,955,378)	-1249414
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი		(366,589)			
სულ საოპერაციო ხარჯები		4,431,709	(7,324,702)	(7,200,684)	(5,952,762)
არასაოპერაციო მოგება		18,958,479	2,674,111		83638
არასაოპერაციო ზარალი		(6,592,269)	(3,247,412)	(2,180,863)	(2,541,683)
ფინანსური ხარჯი		(13,641)	(4,265)		
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		12,352,569	(577,566)	(2,180,863)	(2,458,045)
მოგება დაბეგვრამდე		16,784,277	(143,602)	(5,007,166)	(3,921,549)
მოგების გადასახადი		(58,535)	(11,402)	-	
წმინდა მოგება (ზარალი)		16,725,742	(155,004)	(5,007,166)	(3,921,549)

CHOOSE YOUR WAY

აირჩიე შენი გზა

www.zimog.ge

გენერალური დირექტორი:

ზურაბ კიკნაძე